

# პროფესიული სტუდენტის/მსმენელის გზამკვლევი

შპს ავიენას საერთაშორისო საზოგადოებრივი  
კოლეჯი





თუ გაქვთ სრული ზოგადი განათლება და გსურთ დაეუფლოთ შრომის  
ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობას ჩვენ გთავაზობთ  
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს



ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი



ბუღალტრული აღრიცხვა

გაინტერესებთ რამდენი ხანი უნდა ისწავლოთ ?



## ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი

პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია  
სწავლის ხანგრძლივობა: 93სასწავლო კვირა

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია  
სწავლის ხანგრძლივობა: 73 სასწავლო კვირა



დამთავრებისას კი მოგენიჭებათ ბაგა ბალის აღმზრდელი  
პედაგოგის V საფეხურის კვალიფიკაცია

პროფესიული კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობაა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით და დანართით.

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.

მოდული ცალკე აღებული, დამოუკიდებელი სასწავლო ერთეულია, რომელიც პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს კონკრეტული, დასრულებული კომპეტენციის ან/და უნარის გამომუშავების ან/და ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.



გაინტერესებთ რამდენი ხანი უნდა ისწავლოთ ?



## ბუღალტრული აღრიცხვა

პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია  
სწავლის ხანგრძლივობა: 86სასწავლო კვირა

პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია  
სწავლის ხანგრძლივობა: 66სასწავლო კვირა



დამთავრებისას კი მოგენიჭებათ უმაღლესი პროფესიული  
კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

# როგორ უნდა მოხვდეთ ჩვენთან?

მისამართი: გლდანის საცხოვრებელი რაიონი  
პირველი კვარტლის მიმდებარე (ნაკვეთი N1/40), სართული მე-5.

საფოსტო ინდექსი:0167

ტელეფონი:+995 599 52 00 41

ოფიციალური საიტი:<http://avicenna.edu.ge>

ელ.ფოსტა:[office@avicennacollege.ge](mailto:office@avicennacollege.ge)





## გაინტერესებთ როგორ მოიპოვოთ პროფესიული სტუდენტის სტატუსი?

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.

## იციტ რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოთ?

- პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
- პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი),
- 2 ფოტო 3x4 და მისი ელექტრონული ვერსია (დისკზე).



დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების ბრძანების გამოცემამდე უნდა უზრუნველყოთ დოკუმენტების სრულად წარმოდგენა.

თქვენ მოგენიჭებათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი დაწესებულების დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის, თქვენთან ხელშეკრულების გაფორმებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის შემდეგ.

## იციტ რა იწვევს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებას?

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;
- გ) ფინანსური დავალიანება;
- დ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ორსულობა და ახალშობილის მოვლა;
- ე) დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.



# პროფესიული სტუდენტი სტატუსის შეჩერება

პროფესიულ სტუდენტს სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში.

პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსის შეუწყდება თუ კი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აღიდგენს სტატუსს.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.



## პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

✓ პირადი განცხადება;

✓ პროფესიული პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

✓ გარდაცვალება;

✓ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;

✓ სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

✓ დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძველები




## პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება და სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი თანხა მას არ უბრუნდება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება დაწესებულების დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.





პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

ავტორიზაციის ვადის გასვლის/ავტორიზაციის გაუქმების/ავტორიზაციაზე უარის თქმის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში დაწესებულების მიერ განხორციელებულ მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებულ პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ განახორციელონ პროფესიული სტუდენტის მობილობა და გადავიდნენ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის, სხვა მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ვინ არის მსმენელი?

# მსმენელი

მსმენელი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით დადგენილ პირობებს. მსმენელის მიერ სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით მსმენელის სტატუსის მოპოვების პროცედურებისა და ვადების შესახებ განისაზღვრება:  
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ზუსტი დასახელება, სწავლის საფასური და ადგილების რაოდენობა;  
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების პირობები;  
ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის 20% გადახდის ვალდებულება;



წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხოეთში მიღებული სსიპ განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი),

დ) 2 ფოტო 3x4 და მისი ელექტრონული ვერსია (დისკზე).

# მსმენელი

პირს ენიჭება მსმენელის სტატუსი დაწესებულების დირექტორის მიერ მსმენელის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის და მასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. მსმენელის სტატუსის შეჩერება არის, დაწესებულებისა და მსმენელის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

# მსმენელი

მსმენელის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;

გ) ფინანსური დავალიანება (მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის სრულად უგულვებელყოფა);

დ) დაწესებულები შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძველები.

მსმენელის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში.

# მსმენელი

მსმენელის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში მას ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა მსმენელის სტატუსი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.

# მსმენელი

მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

პირადი განცხადება;

პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულება;

გარდაცვალება;

კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მსმენელის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;

სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მსმენელის სტატუსის შეჩერება;

დაწესებულება ვალდებულია პირისათვის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.

# მსმენელი

მსმენელის სტატუსის შეწყვეტა იწვევს მსმენელთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის მსმენელის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება და სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი თანხა მას არ უბრუნდება.

მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი თავიდან მოპოვება დასაშვებია წინამდებარე წესით მსმენელის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად.

მსმენელის სტატუსის შეწყვეტა ხდება დაწესებულების დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე.

გადაწყვეტილება მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.



პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ.

## მიღწევების შეფასება

პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე

ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში სწავლის შედეგის ორჯერ ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება ეძლევა განმეორებით გაიაროს მოდული/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, რისთვისაც ვალდებულია გადაიხადოს ზემოაღნიშნული მოდულის /პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმეორებით გავლის საფასური, რომელიც განისაზღვრება პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ერთი კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე.





## მიღწევების შეფასება

პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების  
შედეგის გაცნობა ხორციელდება  
დაწესებულების მართვის ელექტრონული  
სისტემის მეშვეობით

პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს სერთიფიკატი და სერთიფიკატის დანართი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებისა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

- ა) დაწესებულების შენობაში თავისუფლად შეღწევის შესაძლებლობას;
- ბ) აუცილებლობის შემთხვევაში დაცვა-უსაფრთხოების მუშაკის/მუშაკების გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე.





დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სრული საფასური განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე

სწავლის საფასურთან დაკავშირებით, დაწესებულებაში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:

- ა)ომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები;
- ბ)იძულებით გადაადგილებული პირები;
- გ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეები;
- დ)I და II ჯგუფის შშმ პირები;
- ე)ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას;
- ვ)სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;
- ზ)ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი პირის სწავლის შემთხვევაში;
- თ)პირი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან.


## პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაემორჩილოს შინაგანაწესით, დაწესებულების ეთიკის კოდექსითა და დაწესებულებაში მოქმედი სხვა სამართლებრივი რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) მზრუნველობით მოეპყრას და გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას;
- გ) პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტისა და დაწესებულების პერსონალის უფლებებსა და თავისუფლებებს;
- დ) დაწესებულების ტერიტორიაზე არ შეიტანოს ალკოჰოლური სასმელი, თამბაქო და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ნივთიერებები;
- ე) არ გადაადგილდეს დაწესებულების ტერიტორიაზე ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში



## პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია: ა)დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, რაიმე საფუძვლით დისკრიმინაციის ან/და შეურაცყოფისაგან; ბ)პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას აზრი და მოითხოვოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა; გ)პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს წერილობითი გაასაჩივროს პროფესიული მასწავლებლის, დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის ან პროფესიული სტუდენტის არამრთლზომიერი ქმედება მის მიმართ; პროფესიული სტუდენტის ზემოაღნიშნული საჩივარი წარედგინება დაწესებულების დირექტორს; დ)აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს მის მიერ მიღებული უარყოფითი შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე; ე)დაწესებულების მიერ განხორციელებული არამრთლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



მასწავლებელი!

# მომავალი იწყება აქ

